<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010170000.05.001.017337) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დევნილის დასაბეგრი შემოსავალი თვეში შეადგენს 1500 ლარს ან მეტს, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი მონაცემებით.“.

2. მე-12 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მიიღოს დევნილის შემწეობა 60 ლარის ოდენობით;“.

ბ) პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ ქვეპუნქტი:

„დ) მიიღოს დევნილის შემწეობა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების შემთხვევაშიც“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.